ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

31 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 208 (10877) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გვიახლოვდება საერთაშორისო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

მთელი საქართველო ემზადება ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამ ასპარეზობამ მთელ მსოფლიოში უნდა გაუთქვას სახელი ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, რათა გადაიდგას პირველი ნაბიჯები მისი საერთაშორისო აღიარებისათვის.

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა ქართული ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაცია. ვინ თუ არა ამ ასოციაციამ უნდა იტვირთოს ქართული ჭიდაობის შემდგომი პოპულარიზაციის საქმე და, აქედან გამომდინარე, სპორტის პროპაგანდის ყველაზე ეფექტური საშუალების — კონკრეტულ სახეობაში უმაღლესი რანგის ასპარეზობის სანიმუშოდ ჩატარება. ეს იყო მთავარი თემა ქართულ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომისა, რომელიც ზემოხსენებული ასოციაციის თაოსნობით გუშინ გაიმართა საქართველოს მინისტრთა საბჭოში ასოციაციის პრეზიდენტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. მგელაძის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე განიხილეს მრავალი საკითხი, რაც დაკავშირებულია ასპარეზობის მაღალ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებასთან. გადაწყდა, რომ შეჯიბრების მონაწილეებს, გამარჯვებულებს და პრიზიორებს მიეცემათ ფულადი ჯილდოები. შედგენილია კულტურული პროგრამა, რომლის განხორციელებასაც მთლიანად თავის თავზე იღებს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო. იმსჯელეს მაყურებელთა დაინტერესების საკითხზე. შეთანხმდნენ, რომ შეჯიბრების დღეებში გათამაშდება ლატარია, სადაც იღბლიანი ბილეთების მფლობელებს მიეცემათ ნაღდ ანგარიშზე მსუბუქი ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება. გათამაშდება აგრეთვე საგზურები უცხოეთში ტურისტული მოგზაურობისათვის. საქართველოს უცხოეთის ტურიზმის გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ო. სიამაშვილმა განაცხადა, რომ, თავის მხრივ, იგი გამოყოფს 10 საგზურს, ამდენივე საგზურს გამოყოფს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო კაპიტალისტურ ქვეყნებში სამოგზაუროდ. გადაწყდა ისიც, რომ შეჯიბრებაზე მოიწვიონ უცხოელი ჟურნალისტები.

სხდომის შედეგები შეაჯამა გ. მგელაძემ.

„იბერია“ — „ბათუმი“: მატჩის ერთ-ერთი მომენტი

გია ახალაძის ფოტო.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 3:1 (2:0).

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 29 ოქტომბერი.

„იბერია“: ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, ნემსაძე (მაჭავარიანი), ქეცბაია (ჯამარაული), ჩიქოვანი, კაჭარავა, უაველაშვილი, გოგიჩაიშვილი (რევიშვილი).

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, შეუილაძე, მ. მაბარაძე, მაჭუტაძე, შანიძე, ტუღუში, კულუმბეგოვი (ი. მაბარაძე).

მსაჯები: ხ. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), ო. გაგუა (ხობუმი).

საქართველოს ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის „იბერიამ“ ბათუმის „ბათუმს“ უმასპინძლა, გუნდს, რომელმაც გარკვეული სიურპრიზი შესთავაზა ქართველ გულშემატკივრებს: სეზონის დაწყების წინ ბათუმელთა რიგები ერთბაშად რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, ასეთ პირობებში კი ნებისმიერი რანგის გუნდს გაუჭირდებოდა ჩემპიონატის პირველობის წარმატებით გავლა. ბათუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კი შეძლეს დროებითმოსმენილი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერთა სამეულს არ მოსცილებიან. მაგრამ როგორც ბევრად ძლიერ ბოლო ტურებში გუნდს ენერგია აღარ ეყო და ზედიზედ ხუთი შეხვედრა წააგო. მიუხედავად ამისა, ბათუმელებზე და მათ მწვრთნელზე სასიკეთოს მეტს ვერაფერს ვიტყვით.

შეხვედრა თბილისელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მეექვსე წუთზე კაჭარავას შეეძლო დაეწინაურებინა თავისი გუნდი. ამ სიტუაციაში იმარჯვა მეკარე ბალაძემ და განმუხტა სახიფათო შეტევა. თბილისელთა იერიშები არ დამცხრალა და მეთოთხმეტე წუთზე ბათუმელთა მცველები უხეშად ეთამაშნენ ქეცბაიას. გოგიჩაიშვილის მიერ შესრულებულმა 11-მეტრიანმა მიზანს მიაღწია — 1:0. თბილისელთა იერიშები გაგრძელდა — სტუმართა მცველები რის ვაი-ვაგლახით იგერიებდნენ გახშირებულ შეტევებს, თუმცა 31-ე წუთზე, ჯიშკარიანის ძლიერი ხჯარიმო დარტყმის შემდეგ, ანგარიში 2-მდე გაიზარდა.

მეორე ნახევარში ბათუმელებს გამოცოცხლება დაეტყოთ და რამდენიმე სახიფათო იერიშიც განახორციელეს. 53-ე წუთზე კი მახარაძისა და მაჭუტაძის მიერ ლამაზად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დაგვირგვინდა. თითქოს ამის შემდეგ ბათუმელებს ძალები უნდა მოეხმოთ და მატჩის ხსნაზეც ეფიქრათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა — პირიქით, კაჭარავას მიერ გატანილმა ბურთმა თამაშის „გადარჩენის“ ყოველგვარი იმედი გადაუწურა სტუმრებს — 3:1 ასე გაიმარჯვა „იბერიამ“ მისთვის ამ მეტად პრინციპულ მატჩში, საქართველოს ჩემპიონობამდე კი თბილისელებს ბევრი არაფერი აშორებთ.

ზაზა მაჭარაშვილი

იხ. მე-3 გვ.

ორგანიზაციების, დაწესებულებების, სასწავლებლების, სპორტული კლუბების, კოოპერატივების, ცალკეული კოლექტივების

საყურადღებოდ!

როგორც ცნობილია, 25 ოქტომბერს დაფუძნდა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ხრულიად საქართველოს ასოციაცია. ასოციაციაში გაწევრიანება შეუძლია ყველას, როგორც პიროვნებებს, ისე შრომით და სახსოვლო კოლექტივებს, კოოპერატივებს და ა. შ.

ასოციაციაში გაწევრიანებისათვის უნდა წარადგინოთ განცხადება ასოციაციის პრეზიდიუმის სახელზე.

ასოციაციის დროებითი მისამართია: თბილისი, კოსტავას 14, „ლელოს“ რედაქცია. ტელ: 99-56-14.

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების ხრულიად საქართველოს ასოციაცია.

საკი პრიზიორი

ბოლო დროს ხშირად გვითქვამს, ჩვენს კლასიკურ ჭიდაობაში წინსვლა იგრძნობაო. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზეც გუნდური პირველი ადგილით გაგვახარეს ჩვენმა ჭაბუკმა სპორტსმენებმა. ახლაც, ალმა-ათის საერთაშორისო ტურნირიდან სამი პრიზიორი დაგვიბრუნდა. 100 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი არ გათამაშებულა, მეორე და მესამე ადგილები კი შესაბამისად დაიკავეს ქართველმა ათლეტებმა ქუთაისელმა გიორგი სალდაძემ („დინამო“) და ხვიჩა მეფარიშვილმა, 90 კგ წონაში მესამე ადგილზე გავიდა კობა წიწვეიშვილი („ორიგე — „მართვე“, თბილისი).

რაგბი რაგბია — თამაშია ისეთი, შელავათი არ იცის, გინდა ჭაბუკები თამაშობდნენ, გინდა ჭარმაგნი. ამიტომაა, რომ ვეტერანთა შეხვედრები ისეთივე ხაინტერესო და უშელავათოა, როგორც ახალგაზრდათა მატჩები. ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა დავით დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა პირველმა საერთაშორისო ტურნირმა. იხ. მე-2 გვ.

გია ახალაძის ფოტო.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

„გულგრილობის ძგლი“

გაზეთ „ლელოს“ 9 და 26 სექტემბერს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე „გულგრილობის ძეგლი“, რომელიც 26 მაისის (ყოფილი „ლოკომოტივის“) სტადიონის სავალალო ყოფას ეხებოდა, ამიერკავკასიის გზის ხელმძღვანელობა გაცნობებთ შემდეგს:

მიუხედავად სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობისა, სტადიონზე წლების განმავლობაში არ შეწყვეტილა სპორტული ღონისძიებების ჩატარება და მეცადინეობა. წლეულს 8 თვის განმავლობაში ჩატარებულია საერთაშორისო თამაშები: რაგბიში, ფეხბურთში, კეტბურთში და სხვა, ამავე სახეობებში გაიმართა საკავშირო და ეროვნული ჩემპიონატის 80 მატჩი. უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები ატარებენ აკადემიურ გაკვეთილებს ფიზკულტურაში. სტადიონის სპორტული ბაზა ყოველდღიურად დაახლოებით 1000 კაცს ემსახურება.

ამიერკავკასიის გზის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1988 წელს დაისვა საკითხი „ლოკომოტივის“ სტადიონის რეკონსტრუქციისა და წესრიგში მოყვანის თაობაზე. ამავე წელს დაიწყო პირველი ეტაპის სამუშაოები, აღებულია აღმოსავლეთი ტრიბუნების დროებითი რკინის კონსტრუქციები, რომლებიც ავარიულ მდგომარეობაში იყო, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები. ალბათ დღეისათვის უკეთ იქნებოდა სტადიონის რეკონსტრუქციის საქმე სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით გამოწვეული შეფერხებები რომ არა. ამჟამად გზის ხელმძღვანელობა რეკონსტრუქციის დროულად განხორციელებისათვის არჩევს უკეთეს საშუალებას. უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი, კერძოდ, ამერიკის ერთ-ერთ ფირმასთან გასულ თვეში გაიმართა წინასწარი მოლაპარაკება, რაც ოქმითაა დაფიქსირებული. მოლაპარაკება გაგრძელდება უახლოეს დღეებში, რის შედეგადაც საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. ეს საშუალებას მოგვცემს დედაქალაქის მოსახლეობა უზრუნველვყოთ ვარჯიშისა და გაჯანსაღების კიდევ ერთი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზით, რომელიც “26 მაისის“ სახელობისა იქნება.

ზ. ანჩაბაძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი;

რ. ბუგიანიშვილი,
ამიერკავკასიის რკინიგზის დამოუკიდებელი პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიეტლიდან — ზუგდიდსა და სვანეთში

როგორც ცნობილია, ოქტომბრის შუა რიცხვებში საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვევით, მოსკოვში იმყოფებოდნენ კეთილი ნების თამაშების ჩატარების ინიციატორი და დამფინანსებელი, ამერიკის შეერთებული შტატების ტელეკომპანიის ტი-ბი-ეს-ის პრეზიდენტი ტედ ტერნერი და სახელოვანი კინოვარსკვლავი, ორგზის ოსკარის მფლობელი ჯეინ ფონდა, რომლის მონაწილეობით შექმნილი ფილმები ჩვენი რესპუბლიკის კინომაყურებელსაც ბევრი უნახავს.

მოსკოვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ასოციაცია 21-ე საუკუნის“ პრეზიდენტის ანზორ კიკალეიშვილისა და ვიცე-პრეზიდენტის ოთარ კვანტრიშვილის ინიციატივით, 17 და 18 ოქტომბერს ტედ ტერნერი, ჯეინ ფონდა და მათი თანმხლები პირები ესტუმრნენ საქართველოს, კერძოდ სამეგრელოსა და სვანეთს.

საპატიო სტუმრებს ზუგდიდელები მასპინძლობდნენ. საქქალალდემრეწვის საწარმოო გაერთიანებაში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ, ტედ ტერნერი და ჯეინ ფონდა ვერტმფრენით გაემგზავრნენ სვანეთში.

სოფელ უშგულში ამერიკელები გააოცა რვაასწლოვანმა სვანურმა კოშკებმა, რომლებიც ზვიადი ბუნების ფონზე ახლაც მტკიცედ დგანან და იქაურ მკვიდრთა ქედუხრელობაზე ნათლად მეტყველებენ. ისინი ესაუბრნენ უშგულელებს, დაინტერესდნენ მათი ყოფით. თუმცა უშგულელებს დღევანდელ მათ გასაჭირზე კრინტი არ დაუძრავთ, სტუმრებმა უთუოდ შენიშნეს, რომ ამ მაღალმთიან დიდებულ სოფელს სათანადო ყურადღება აკლია.

ტედ ტერნერმა და ჯეინ ფონდამ მეორე დღის პირველ ნახევარში დაათვალიერეს წალენჯიხის რაიონის წყავაშის ნაკრძალი. იყვნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში, იქაური მკვიდრის მურმან როგავას მიერ შექმნილ ნადირ-ფრინველთა პარკში, რომელიც მათ ძალიან მოეწონათ.

ზუგდიდელებმა რამდენიმე გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს საპატიო სტუმრებს და გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

გამგზავრების წინ, საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტებისადმი მიცემულ ინტერვიუში, ჯეინ ფონდამ განაცხადა: არსად ისეთი სტუმართმოყვარე ხალხი არ შემხვედრია, როგორიც აქ, საქართველოში და არც ასეთი ლამაზი მთები მინახავს სხვაგანო. ტედ ტერნერმა აღნიშნა, რომ მათ მართლაც მშვენივრად გაატარეს ორი დღე სამეგრელოსა და სვანეთში.

თ. ფიფია.

• • •

სურათზე: ტ. ტერნერი, ჯ. ფონდა და ახალგაზრდა ზუგდიდელი მხედარი ო. ჭითანავა.

თენგიზ ფუტკარაძის ფოტო.

დავით დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა ტურნირზე...

ის წლები, როცა...

არაერთხელ თქმულა — ამჟამად ქართული სპორტისთვის საერთაშორისო კონტაქტები უპირველესი მნიშვნელობის საქმეაო. ჩვენი მორაგბეები ამ მხრივ, ნამდვილად არიან ერთ-ერთი მოწინავენი: ისინი ხომ საკმაოდ ინტენსიურ კონტაქტებს ამყარებენ უცხოელ „კოლეგებთან“. სასიამოვნოა, რომ მოქმედ მორაგბეებს არც ვეტერანები ჩამორჩნენ — მათი და საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივით მოეწყო დავით დავითაიას სახელობის პირველი საერთაშორისო ტურნირი ვეტერანებს შორის, რომელშიც, ჩვენი მორაგბეების გარდა, ლატვიელები და ჰოლანდიელებიც მონაწილეობენ.

როგორც პირველმა შეხვედრებმა დაგვარწმუნა, ამ ტურნირზე ვეტერანები მარტო „წონის დასაკლებად“ არ გამოდიან. მათმა გააზრებულმა და შეუპოვარმა თამაშმა ფრიად ასიამოვნა ვაკის სტადიონზე მრავლად მოსული რაგბის დამფასებლები. ძველებურად გამოირჩეოდნენ თემურ ბენდიაშვილი, ავთანდილ ლიბრაძე, თემურ და თენგიზ რუხაძეები, გურამ მოდებაძე, კვლავინდებურად სახიფათოდ უტევდნენ გელა მიქაბერიძე, გივი ავლასტიმოვი, მერაბ ყლენტი, დავით კილასონია... ერთი სიტყვით, ქართველმა ვეტერანებმა მხრებიდან დროის ტვირთი ჩამოიბერტყეს და თავიანთი საუკეთესო წლები გაიხსენეს.

პირველ მატჩს პირველი სენსაციაც მოჰყვა. საქართველოს „ა“ ნაკრები დამარცხდა ლატვიის გუნდთან. არადა, ერთი თვის წინ მოსკოვში გამართულ ვეტერანთა საკავშირო ტურნირზე ჩვენებმა იოლად სძლიეს ბალტიისპირელებს და, ცხადია, ასეთ შედეგს არავინ მოელოდა. ლატვიელები თავიდანვე დაწინაურდნენ — ორი ლელო გაიტანეს. მართალია, ბენდიაშვილმა ლელოთი და კილასონიამ გარდასახვით შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ სტუმრებმა კიდევ ორჯერ დაამიწეს ბურთი და ლიბრაძის ლელომ, რომელიც კილასონიამ გარდასახა, საქმეს ველარ უშველა — გაიმარჯვეს ლატვიელებმა — 22:12.

მეორე შეხვედრაში საქართველო „ბ“ და ჰოლანდიის ნაკრებები წარდგნენ ერთმანეთის პირისპირ. საქართველოს პირველ გუნდთან შედარებით, მეორე ნაკრები უფრო „ახალგაზრდულია“, მეტოქეც საკმაოდ მობილური და სწრაფი შეხვდათ. ჩვენებმა წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს სტუმრებს, თუმცა თავიდან „შიშიც გვაჭამეს“ — პირველ წუთზე გაშვებული ლელოს გამო თამაშს აგებდნენ. შემდგომ ყველაფერი დალაგდა — ქურდობაძემ ერთი, ხოლო ამ მატჩში უდაოდ საუკეთესომ — ჭეიშვილმა ორი ლელო გაიტანეს, რამაც გამარჯვების ჩინებული წინაპირობა შექმნა. მეორე ტაიმში გარუჩავამ ისახელა თავი, ორი ლელოც გაბაძემ გარდასახა და საბოლოო ანგარიშიც 20:6 გახლავთ მასპინძელთა მეორე გუნდის სასარგებლოდ.

ამრიგად, პარასკევს, 2 ნოემბერს — დავით დავითაიას სახელობის ტურნირის ბოლო დღეს — 14 საათზე მესამე ადგილისთვის ითამაშებენ საქართველო „ა“ — ჰოლანდია, ფინალურ მატჩში კი, რომელიც 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, საქართველოს „ბ“ ნაკრები ლატვიელებს შეეტოქება.

მერაბ ერისთავი.

სურათებზე: დ. დავითაია; ვეტერან მორაგბეებს შემართებას ვერ დაუწუნებთ.

გია ახალაძის ფოტო.

ახალი სახელები

სახელოვანი ფალავანი მრავლად ჰყოლია საქართველოს. ჩვენი რესპუბლიკა ამჟამადაც არ განიცდის მოჭიდავეთა დეფიციტს, დღესაც გვყავს მსოფლიოში აღიარებული თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება, მოგეხსენებათ, ყველა სახეობას ცუდ სამსახურს უწევს. აუცილებელია ყოველდღიური ძიება ახალი სახელების აღმოსაჩენად. ერთ-ერთი მიზანი ახლახან ტყიბულში ჩატარებული საქართველოს პირველობისა (1973-74 წლებში დაბადებულთა შორის) სწორედ პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა გახლდათ.

საქართველოს ნაკრები გუნდი მოგვიანებით დაკომპლექტდება, ახლა კი გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: **46 კგ.** თამაზ გელაშვილი, **50 კგ.** ირაკლი ბარბაქაძე (ორივე — რუსთავი); **54 კგ.** პაატა მაისურაძე (ცხინვალი); **58 კგ.** გიორგი დათაშვილი (გორი); **63 კგ.** ბესიკ ბასიაშვილი (რუსთავი), **68 კგ.** ზვიად გუდიევი (გორი); **74 კგ.** გიორგი დასანია (სოხუმი); **81 კგ.** ვადიმ მამიევი (ცხინვალი); **88 კგ.** გოჩა გოგოლაძე; **97 კგ.** შავლეგო ცარციძე (ორივე — თბილისი).

ჩოგბურთის ამბები

ნეშვილი. ამერიკის ამ ქალაქში დაიწყო „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ტურნირი. აქ პირველ ნომრად განთესილმა თბილისელმა ლეილა მესხმა სასტარტო ბრძოლა წააგო შვედ სესილ დალმანთან — 6:7, 5:7, პირველ წრეშივე გამოეთიშა ასპარეზობას ლვოველი ლარისა სავჩენკოც. მას ჰოლანდიელმა კაროლინ ვისმა აჯობა — 7:6, 6:3.

სტოკჰოლმი. შვეციის დედაქალაქში დამთავრდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალში დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი სტეფან ედბერგი — 6:4, 6:0, 6:3. ამ გამარჯვებით ბეკერის რეიტინგი მჭიდროდ მიუახლოვდა ედბერგის მაჩვენებელს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მორიგ ტურნირში გამარჯვებით ბეკერი გაუსწრებს შვედ ჩოგბურთელს.

პარიზი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის სტარტზე (საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარი) ანდრეი ჩერკასოვმა დაამარცხა ფრანგი ფაბრის სანტორო 3:6, 6:2, 6:3. პირველი წრე უხიფათოდ განვლეს, აგრეთვე, პატრიკ მაკინროუმ (ჯონ მაკინროუს უმცროსმა ძმამ), იანიკ ნოამ (საფრანგეთი), რიჩი რენენბერგმა (აშშ) და მაგნუს გუსტაფსონმა (შვეცია).

სან-ხუანი. 14 წლის ამერიკელმა ჯენიფერ კაპრიატიმ პროფესიონალთა პირველი ტურნირი მოიგო. პუერტო-რიკოს დედაქალაქში მიმდინარე შეჯიბრების ფინალში თანამემამულე ზინა ჰარისონი დაამარცხა 5:7, 6:4, 6:2.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ოჰ, ეს მძიმე ცაიტნოტი!

მერვე პარტია მეთოთხმეტე სვლამდე მეექვსეს დაემთხვა. კასპაროვი, ეტყობა, უკმაყოფილო იყო წინა შეხვედრაში მიღებული პოზიციით, ამიტომ პირველმა გამოიყენა ახალი გეგმა. ეს გაგრძელება, როგორც ჩანს, არც ექსჩემპიონისთვის იყო უცხო, რადგან მან მეტოქეს თავისებური სიურპრიზი მოუმზადა. ესპანური პარტიის კერესის ვარიანტში ეს მართლაც ახალი სიტყვა იყო. მაგრამ სიურპრიზიც არის და სიურპრიზიც — ამ შემთხვევაში, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, „ახალი სიტყვა“ მაინცდამაინც დამაჯერებლად არა ჟღერდა. როცა კარპოვმა მეტოქეს ცენტრის გახსნა შესთავაზა, კასპაროვმა 45 წუთი იფიქრა და შავებს მძიმე დარტყმა მიაყენა. კარპოვის პოზიცია ყოველი სვლით უარესდებოდა. მას ვერც იმან უშველა, რომ დაცვის გეგმის მონახვას მეჩვიდმეტე სვლაზე 30 წუთი მოანდომა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თეთრების კომბინირებულ შეტევას მეფის ფრთაზე აუცილებელი გამარჯვება უნდა მოჰყოლოდა. ამ შეტევაში მონაწილეობდა თეთრი ლაზიერი, ეტლი, კუ და ორი წინწაწეული პაიკი.

ამ მომენტში გამეორდა ის, რაც საჭადრაკო პრაქტიკაში მრავალჯერ მომხდარა: მაშინ, როცა კარპოვს 10 სვლაზე სულ 5 წუთი დარჩა და მძიმე პოზიციაც ჰქონდა, კასპაროვი, მთელი მისი მდიდარი გამოცდილების მიუხედავად, გამარჯვების მოლოდინში აღელდა და უგეგმოდ დაიწყო თამაში. ამასობაში კარპოვი შეუპოვრად იცავდა უკანასკნელ ზღუდეებს. მისმა 29-ე და 30-ე სვლებმა მიმომხილველების დიდი მოწონება დაიმსახურა. 37-ე სვლაზე კასპაროვი უკვე აშკარად შეცდა. ეტლის მესამე ჰორიზონტალზე გადაყვანის ნაცვლად, რაც მას კიდევ უნარჩუნებდა უპირატესობას, მსოფლიო ჩემპიონმა პაიკის გაუმართლებელი შეწირვა განახორციელა. უბრალოდ რომ ვთქვათ, მან მატერიალური ზარალი ნახა და თანაც ვერავითარი კომპენსაცია ვერ მიიღო.

პარტია გადაიდო. კასპაროვმა ჩაიწერა 41-ე სვლა. ახლა ექსჩემპიონის მხარეზე არა მარტო პოზიციური უპირატესობაა, არამედ მას ზედმეტი პაიკიც აქვს.

ჯერჯერობით ანგარიში კვლავ თანაბარია — 3,5:3,5.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ივერია“ (ხაშური) — „სანავარდო“ (სამტრედია) 2:1 (0:0).

ხაშური. „ივერიის“ სტადიონი. 29 ოქტომბერი.

„ივერია“: ბრიაუნიხი, ჭანგურიძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, თ. ნოზაძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, აბაზაძე (პოზოიანი), რ. ნოზაძე, თევზაძე (ხარებაშვილი), რობაქიძე (ბედიაშვილი).

„სანავარდო“: თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, ჭელიძე, თვალაბეიშვილი, კოტრიკაძე, ბაბუნიძე (ტონია), თამაზაშვილი (თ. კოხრეიძე), დადუნაშვილი, ხუჭუა, ლორთქიფანიძე.

მსაჯები: ტ. ნიშნიანიძე, დ. თოდუა (ორივე — თბილისი), გ. შავგულიძე (ქუთაისი).

ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის დიდი ხანია ცნობილია ის გუნდი, რომელიც გაისად უმაღლესი ჯგუფიდან პირველში გადაინაცვლებს. ეს ცხინვალის „ლიახვი“ გახლავთ. მეორე აუტსაიდერის ვინაობა კი, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო ტურში გაირკვევა. ჯერჯერობით მათ შორის, ვისაც პირველ ჯგუფში გადასვლა ემუქრება, ხაშურის „ივერიაცაა“. ამიტომაც მათთვის თითოეულ ქულას, რომ იტყვიან, ოქროს ფასი აქვს. მიუხედავად ამისა, ეს შეხვედრა მასპინძლებმა ინერტულად დაიწყეს. არც „სანავარდოს“ ფეხბურთელებს შეუქმნიათ რაიმე ხიფათი ხაშურელთა კართან. პირველ 45 წუთში არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ მომენტს, როდესაც ხარაზიშვილის ძლიერი დარტყმა ძელმა მოიგერია.

მეორე ნახევარში „ივერიამ“ მხოლოდ მცირედით მოუმატა ტემპს, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. აქვე დავძენთ იმასაც, რომ შეცვლაზე გამოსული პოზოიანი აქტიურად ჩაება შეხვედრაში და გამოაცოცხლა თამაში. პირველი ბურთი შეხვედრის 51-ე წუთზე გავიდა, როდესაც ჭანგურიძე—ქიმერიძის კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა ლამაზი გოლი გაიტანა — 1:0. 58-ე წუთზე მსგავს სიტუაციაში კარგად ითამაშა თევზაძემ, რომელმაც ჩინებულად გამოიყენა ჭანგურიძის გადაცემა — 2:0. სამტრედიელებმა ისღა მოახერხეს, რომ მატჩის უკანასკნელ წუთზე საჯარიმო დარტყმიდან კოხრეიძემ პრესტიჟის გოლი გაიტანა. ამ გამარჯვებით „ივერიამ“ გათამაშების ცხრილში ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლა.

გოგი გოგოლაძე,
„ლელოს“ კორ.

„ბორდა“ (რუსთავი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 2:1 (1:0).

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 29 ოქტომბერი.

„ბორდა“: ჭორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია (ბერიძე), მიქაშავიძე (დიმიტრიშვილი).

„ქუთაისი“: ჩხეიძე, თევზაძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ჯუღელი (ფაიქიძე), შენგელია (დვალიშვილი), ჯანიშია, მეგრელაძე, დარასელია, წივწივაძე (ხუხიაშვილი).

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), ზ. ლაცაბიძე (თბილისი), ა. ყიფიაშვილი (მცხეთა).

ამ გუნდების შეხვედრა ყოველთვის დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, ამიტომაც მაყურებელი მათ სანახავად ყოველთვის მრავლად დადის. ამ შეხვედრაში ფეხბურთის მოყვარულები კიდევ ერთხელ გახდნენ იმის მოწმე, რომ რუსთავის „ბორდა“ შემთხვევით არ არის პრიზიორთა შორის.

შეხვედრა ქუთაისელების იერიშებით დაიწყო. პირველსავე წუთზე მეგრელაძემ ძლიერი დარტყმით ბურთი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ მცირე მანძილით აცილა მიზანს. ამას რუსთაველთა შეტევები მოჰყვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ კილასონია, ტ. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე. სწორედ ამ უკანასკნელის გატანილი ბურთით დამთავრდა მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელიც „ბორდას“ ფეხბურთელებმა შეხვედრის 24-ე წუთზე წამოიწყეს. თითქოს ამას ელოდნენო, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მკვეთრად გაზარდეს ტემპი და მეგრელაძესა და დარასელიას შეეძლოთ კიდეც ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები არაზუსტი იყო.

შესვენების შემდეგ თამაში ნელ ტემპში წარიმართა, აღსანიშნავია, ფანცულაიას და მიქაშავიძის რამდენიმე სწრაფი გარღვევა მეკარე ჩხეიძის კართან. მეორე ბურთი 63-ე წუთზე გავიდა, როდესაც მსაჯმა თ. ლაცაბიძემ მიქაშავიძესთან უხეში თამაშისთვის უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. ფანცულაიას დარტყმამ მიზანს მიაღწია — 2:0. პრესტიჟის ბურთი კი ქუთაისელებმა შეხვედრის მიწურულს გაიტანეს — თორლაშვილის ძლიერი დარტყმის შემდეგ ჭორიძე უძლური იყო ეხსნა კარი — 2:1. ასე გაიმარჯვა „ბორდამ“ და განიმტკიცა ადგილი პრიზიორთა შორის.

აკაკი ყანდიაშვილი,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

ფხ. 31-ე 33-

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი. მდგომარეობა XXXI ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“ (თბილისი)	31	23	5	3	88-20	74
„ბორდა“ (რუსთავი)	31	21	3	7	56-25	66
„ბურია“ (ლანჩხუთი)	31	19	6	6	68-19	63
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	31	18	5	8	53-31	59
„ბათუმი“ (ბათუმი)	31	17	6	8	50-22	57
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	31	17	5	9	48-30	56
„ცხუმი“ (ხოხუმი)	31	12	9	10	46-33	45
„დილა“ (გორი)	31	11	6	14	43-42	39
„ოდიში“ (ზუგდიდი)	31	10	9	12	38-35	39
„კოლხეთი“ (ხობი)	31	10	8	13	38-39	38
„სანავარდო“ (სამტრედია)	31	10	7	14	28-42	37
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	31	10	7	14	38-56	37
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	31	9	10	12	41-42	37
„მზიური“ (გალი)	31	10	6	15	39-60	36
„ივერია“ (ხაშური)	31	10	5	16	29-55	35
„ხამგურალი“ (წყალტუბო)	31	10	4	17	36-53	34
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	31	8	7	16	31-49	31
„ლიახვი“ (ცხინვალი)	31	—	—	31	11-126	0

ბადრაკის მოყვარულებს!

ფ. სპ-1

„ლელოს“ საბადრაკო დამატება „მერანი“ ამიერიდან ხელმოწერითაც გავრცელდება. „მერანის“ ინდექსია 66429.

ხელმოწერა: სამი თვით 1 მან და 80 კაპ.; ექვსი თვით 3 მან და 60 კაპ.; ერთი წლით 7 მან და 20 კაპ.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო „სოიუზპეჩატი“

აბონემენტი მერანი

(გამოცემის დასახელება)

66429

(გაზეთზე ჟურნალზე)

(კომპლექტების რაოდენობა)

19 91 წლისათვის თვეების მიხედვით

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

სად (საფოსტო ინდექ.) (მისამართი)

ვის (ვვარი, ინიციალები)

დაბარების ბარათი

66429

(გაზეთზე ჟურნალზე)

(გამოცემის დასახელება)

მერანი

ადგილი ლიტ.

ლიტერატურა: ხელმისაწვდომობა | ხელმისაწვდომობის შეცვლის | ... | კომპლექტების რაოდ.

19 91 წლიანოვნ თვეების მიხედვით

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

სად (საფოსტო ინდექსი) (მისამართი)

ვის (ვვარი, ინიციალები)

„მრეტები“: სიახლე, რომელმაც გაიმარჯვა

დრო მსაჯული განკიცხულთა და განმკიცხველთა

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ეხსომებათ, რა აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა მოჰყვა ამ ორიოდე წლის წინათ მინიფეხბურთელთა კლუბის „მრეტების“ დაარსებას, რა ჭორ-მართალს არ გაიგებდით ამ კლუბზე. ჭორები უსაფუძვლო იყო. დრომ გამოიტანა განაჩენი.

ის, რაც „მრეტებს“ ბრალდებოდა, არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა, მოდით, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. 1985 წელს შეიკრიბა რამდენიმე ფეხბურთზე თავგადაკლული ქართველი და განიზრახეს ჩამოეყალიბებინათ ნამდვილი პროფესიული საფეხბურთო კლუბი, მაგრამ იმხანად, მოგეხსენებათ, სიტყვა პროფესიონალიზმის ხსენებაც კი კაპიტალიზმის გადმონაშთების გადმოღებას ნიშნავდა. ენთუზიასტებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და წამოწყებული საქმე, მიუხედავად ათასნაირი ხელოვნური დაბრკოლებისა, ბოლომდე მიიყვანეს. გასაკეთებელი კი მართლაც ბევრი იყო. ნათელი გახდა, რომ ახალ კლუბს, რომლის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის პოპულარიზაცია იყო, პროფესიული სტატუსი არ მიეცემოდა, ამიტომაც გამოსავალი მინიფეხბურთის კლუბის დაარსებაში სცადეს და ოფიციალური სტატუსიც მიიღეს. ასე გაჩნდა 1988 წლის 3 თებერვალს კავშირში პირველი მინიფეხბურთელთა პროფესიული კლუბი თბილისის „მრეტები“, რომლის დამაარსებელი და პრეზიდენტი ვაჟა ჩხაიძე გახლავთ.

ამის შემდეგ დაიწყო ის საზრუნავი, რაც პროფესიულ სპორტს ახლავს: მენეჯერი, სპონსორი, კონტრაქტი, კომერციული ტურნირი და ბევრი სხვა. თამამად ვიტყვით, რომ ის პროფესიული ტერმინოლოგია, რომელსაც დღეს ასე ხშირად ვიყენებთ, „მრეტების“ დაარსების შემდეგ „გაგვიმინაურდა“. „მრეტებში“ ძირითადად თავი მოიყარეს იმ ფეხბურთელებმა, რომლებმაც თავისი სპორტული კარიერა დასრულებულად ჩათვალეს. ასე გაჩნდა რესპუბლიკაში კლუბი, რომლის დამარცხება კავშირში ძნელად თუ ვინმეს ხელეწიფებოდა.

„მრეტებმა“ თბილისის სპორტის სასახლეში დაიდეს ბინა. აქვე, თავისი სახსრებით, ოფისის აშენების უფლებაც მიიღეს; სასახლის რეკონსტრუქციის დროს კი თავისი წილი თანხაც გაიღეს.

პირველსავე ტურნირზე „მრეტებმა“ უმაღლესი ლიგის რამდენიმე ძლიერი გუნდი მიიწვიეს: მინსკის „დინამო“, ლენინგრადის „ზენიტი“, ხარკოვის „მეტალისტი“ სიამოვნებით დათანხმდნენ საბჭოთა კავშირში მოწყობილ პირველ კომერციულ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, რომელშიც, მარტო გამოსვლისთვისაც კი, საკმაოდ სოლიდური თანხა იყო დაწესებული. სპორტის სასახლეში გაჩნდა სარეკლამო ფარები, სპონსორებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა შეხვედრებს მაღალ სპორტულ დონეზე ჩაევლო და ჯერი ფეხბურთელებზე მიდგა — მათ უნდა დაემტკიცებინათ, რომ ძალუძდათ ტოლი არ დაედოთ ცნობილი კლუბებისათვის, სხვანაირად ხომ კლუბის არსებობას აზრი არ ექნებოდა. თანაც — ამ აჟიოტაჟის შემდეგ გულშემატკივრები მათგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ და მათ ეს შეძლეს კიდეც — დაამარცხეს უმაღლესი ლიგის 3 ტიტულოვანი კლუბი, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანი წარმატება გახლდათ. ერთი სიტყვით, „მრეტებმა“ პირველი გამოცდა ფრაადზე ჩაბარეს. ამის შემდეგ „მრეტებმა“ სპორტის სასახლეში რამდენიმე საკავშირო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და კვლავ გამარჯვებულებმა დატოვეს სარბიელი. ამას მოჰყვა საერთაშორისო ტურნირები, სადაც უძლიერესები კვლავ ჩვენი ქალაქის წარმომადგენლები იყვნენ.



ვაჟა ჩხაიძე

ვარჯიშსა და ასპარეზობებში ორმა წელმა განვლო. „მრეტების“ ხელმძღვანელობა ზედავდა, რომ კლუბის ფეხბურთელთა შესაძლებლობები მინიფეხბურთში ბოლომდე არ იხსნებოდა, ამიტომაც გადაწყვიტეს, წლევანდელ სეზონში დიდ მოედანზე ქალაქის პირველობაში ეცადათ ბედი. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებიათ. მთელი რესპუბლიკის ფეხბურთის საყაროს გასახარად 1990 წლიდან საქართველო დამოუკიდებელ ჩემპიონატს მართავს. „მრეტებს“ კი რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ II ჯგუფის აღმოსავლეთ ჯგუფში თამაშის ნება დართო. წლევანდელი სეზონის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი რჩება და, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, „მრეტებს“ I ჯგუფში მონაწილეობის უფლება უკვე გარანტირებული აქვს. ვისაც წლევანდელ სეზონში ერთხელ მაინც უნახავს მათი თამაში, დაგვეთანხმება — კლუბს წლევანდელ გათამაშებაში უფრო მაღალ ზონაში რომ ეასპარეზა, ურიგო შედეგი არც იქ ექნებოდა. ამის დასტურად საქართველოს თასზე მათ მიერ უმაღლესი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერთან რუსთავის „ბორდასთან“ გამართული შეხვედრების გახსენებაც კმარა. მერვედფინალის პირველ მატჩში, რომელიც თბილისში გაიმართა, „მრეტებმა“ ყველა იმედი გადაუწურეს მეტოქეს. მათ მიერ გატანილ სამ ბურთს „ბორდამ“ მხოლოდ ერთით უპასუხა. დრამატულად წარიმართა მატჩი რუსთავში— მხოლოდ მატჩის ბოლო 7 წუთში შეძლო ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა ორი ბურთის გატანა და რომ იტყვიან, ხელიდან გამოგლიჯა მეოთხედფინალის საგზური გუნდს, რომელმაც უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ შეუძლია თავს რეტი დაგასხას. სწორედ ამის შემდეგ დაუწყეს „მრეტებს“ სხვა თვალით ყურება. ფეხბურთელებმაც ირწმუნეს თავიანთი ძალა და დღესდღეობით თავიანთ უახლოეს მდევარს აღმოსავლეთ ჯგუფში — „კრწანისის“ გუნდს, რამდენიმე ქულით უსწრებენ.

ვაჟა ჩხაიძემ თანამზრახველებთან ერთად შეძლო შეექმნა ისეთი კლუბი, რომლის თამაში სიამოვნებას ანიჭებს მაყურებელს. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, „მრეტებს“ ამ სეზონში ერთი შემადგენლობით თითქმის არ უთამაშია — კლუბი სულ ახლის ძიებაშია, რაც ჯერჯერობით სასიკეთოდ მოქმედებს მოთამაშეთა კლასსა და შედეგზე.

გუნდის ძირითად ბირთვს ვეტერანები შეადგენენ, რომელთა მხრებზეც გადადის მთელი სეზონის სიმძიმე: ტყავაძეს, ჟორჟიკაშვილს, ოჩარაშვილს, გაბელაიას კარგად აუბეს მხარი ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, რომლებზეც მწვრთნელებს და სპეციალისტებს უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. „მრეტებში“ კი მათ თამაშში პროგრესი იგრძნობა, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ კლუბი გაისად გაცილებით უკეთ ითამაშებს.

უკან დარჩა შრომაში და ძიებაში გატარებული სამი მომჭანცველი წელი. გუნდს ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მისცემია დასვენების საშუალება. წლევანდელ ზამთარსაც „მრეტებს“ რამდენიმე კომერციული ტურნირი აქვს დაგეგმილი ხაზოვარგარეთის კლუბებთან ერთად.

ზაზა კანკაძე

შეამოწმეთ თქვენი აბონემენტის გაფორმების სისწორე

აბონემენტზე უნდა დაისვას სალაროს მანქანის ანაბეჭდი.

თუ ხელის მოწერა (მისამართის შეცვლა) ფორმდება სალაროს მანქანის გარეშე, აბონემენტზე დაიაქვთ კავშირგაბმულობის განყოფილების კალენდარული შტემპელის ანაბეჭდი. ამ შემთხვევაში ხელის მომწერს ეძლევა აბონემენტი ხელის მოწერის (მისამართის შეცვლის) ღირებულების გადახდის ქვითართან ერთად.

ყადრაკის მოყვარულებს!

„ლელოს“ საპადრაკო დამატება „მერანი“ ამიერიდან ხელმოწერითაც გავრცელდება.

„მერანის“ ინდექსია 66429.

ხელმოწერა: სამი თვით 1 მან და 80 კაპ., ექვსი თვით 3 მან და 60 კაპ., ერთი წლით 7 მან და 20 კაპ.

გაზეთებზე ან ჟურნალებზე ხელის მოწერის გასაფორმებლად, აგრეთვე გამოცემის სხვა მისამართზე გამოწერისას აბონემენტის ბლანკს და დატარების ბარათს ხელის მომწერი ავსებს მელნით, გარკვევით, შემოკლებების გარეშე, „სოიუზპეჩატის“ კატალოგებში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად.

გამოცემის სხვა მისამართზე გამოწერისას თვიურ, უჯრედებს და აგრეთვე უჯრედებს „სვ-ადგილი“ ავსებენ კავშირგაბმულობის საწარმოთა და „სოიუზპეჩატის“ მუშაკები.

სპორტული ნოემბერი

1-4 წყალბურთი. I ლიგის საკავშირო პირველობა. I ტური. **თბილისი.**

1-4. კლასიკური ჭიდაობა. საქართველოს X სპარტაკიადა. ფინალი. **ქუთაისი.**

1-6. ფრენბურთი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი (გოგოები — 1975-76 წლებში, ჭაბუკები — 1973-74 წლებში დაბადებულნი). **თბილისი.**

3-9. კალათბურთი. საბჭოთა კავშირის 1991 წლის პირველობის ზონალური ტურნირი. გოგოები (1973-74 წლებში დაბადებულნი). **თბილისი.**

6-9. ძალოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი სიმძიმეების აწევაში. **წითელწყარო.**

6-12. წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. III ტური. **თბილისი.**

8-12. ხამბო. საქართველოს X სპარტაკიადა. ფინალი. **თბილისი.**

9-14. კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი. **თბილისი.**

10-14. თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა (1971-72 წლებში დაბადებულნი). **ყვარელი.**

16-19. ხატრეკი ველოსრბოლა. საქართველოს თასის გათამაშება ჭაბუკთა და გოგონათა შორის. **თბილისი.**

20-26. ბადმინტონი. საქართველოს პირველობა (1977 წელს დაბადებულთა შორის). **ქუთაისი.**

21-24. ხამბო. საქართველოს პირველობა (1977-78 წლებში დაბადებულნი). **ხაგარეჯო.**

21.XI.-6.XII. ჭადრაკი. საქართველოს პირველობა (1973-77 წლებში დაბადებულნი). გოგოები, ვაჟები. **თბილისი.**

23-26. ქართული ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი. **თბილისი.**

ყველა ადგილი

რიო-დე-ჟანეირო. დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. გთავაზობთ ნახევარფინალური და ფინალური მატჩების შედეგებს.

ნახევარფინალები: ბრაზილია-იტალია 2:3 (15:6, 9:15, 8:15, 15:8, 13:15), სსრ კავშირი-კუბა 1:3 (15:7, 12:15, 9:15, 8:15).

მატჩი მესამე ადგილისათვის: სსრ კავშირი-ბრაზილია 3:0 (15:8, 15:8, 15:4).

ფინალი: კუბა-იტალია 1:3 (15:12, 11:15, 6:15, 14:16).

საბოლოო ადგილები: 1. იტალია, 2. კუბა, 3. სსრ კავშირი, 4. ბრაზილია, 5. ბულგარეთი, 6. არგენტინა, 7. ჰოლანდია, 8. საფრანგეთი, 9. ჩეხოსლოვაკია, 10. შვეიცარია, 11. იაპონია, 12. კანადა, 13. აშშ...

გამოტოვებული მატჩები

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ზოგიერთი მატჩის შედეგს, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა.

კიევი. ცსკა — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) 116:92 (56:43), ასკ (კიევი) — „შახტიორი“ (ნერიუნგრი) 97:59 (35:28).

ნიკოლაევი. „სტროიტელი“ (ირკუტსკი) — „სტროიტელი“ (კუიბიშევი) 101:113 (45:61), „სტროიკერამიკა“ (დონეცკი) — ნკი (ნიკოლაევი) 100:125 (50:59).

„სპორტლოტოს ჯვარი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 42-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 4.449.758 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (199) მოგება 385 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (4.411) —34 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (35.297) — 15 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 216.975 ვარიანტი. 13—13, 12—249, 11—1.935.

42-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

* * *

42-ე ტირაჟის შედეგები

(26-28 ოქტომბერი)

1—2, 2—X, 3—1, 4—2, 5—X, 6—2, 7—1, 8—1, 9—2, 10—1; 11—1, 12—1, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 42-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 2.052.319 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (33) მოგება 2.878 მანეთია, ოთხისთვის (2.091) — 51, სამისთვის (39.056) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 47.347 ვარიანტი. 6—0, 5—10, 4—[illegible], 3—1.028.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 23.080.697 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (81) მოგება 9.214 მანეთია, ოთხისთვის (10. 212) — 136, სამისთვის (315. 374) —5.

საქართველოში: დაშვებულია 580.932 ვარიანტი. 5—7, 4—368, 3—7.584.

42-ე და 33-42 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 10 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

1 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე თბილისის სპორტულ ბაზებზე ტარდება საქართველოს კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების ქალაქ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტული ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის სიჯანსაღის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია: მინი-ფეხბურთი, სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ცურვა, მძლეოსნობა, ფრენბურთი, ტანვარჯიში, ბაგირის გადაძალვა, ტურიზმი და ნარდი. მონაწილეობენ ამ გაერთიანების საწარმოო დაწესებულებების კოლექტივები.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 4:1 (2:1).

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 29 ოქტომბერი.

„კოლხეთი-1913“: მიქავა, კაკაჩია (ჭუნთელია), ჭაჯია, გიორგაძე, გიგაშვილი, შამთავა, თოფურია (ფცანია), მახარაძე, ჭყონია (ავრამიდისი), თვარაძე, ბაჯალაძე.

„მერცხალი“: დუმბაძე, ხამაშურაძე, ათუაშვილი, ცერცვაძე, კალატოზიშვილი (ბერიშვილი), მეავანაძე, კაშია, ჩხაიძე, თეთრაძე, ბარამიძე, ჩიგოგიძე.

მსაჯები: შ. მალაღურაძე, დ. მენთეშაშვილი (ორივე — თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

პირველი წრის შეხვედრა ამ გუნდებს შორის დამთავრდა ოზურგეთელთა გამარჯვებით — 2:0, ასე რომ, ფოთელი ფეხბურთელები მოედანზე რევანშის აღების სურვილით გამოვიდნენ. მათ დასაწყისშივე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდნენ უპირატესობას. ანგარიში გიახსნა მე-8 წუთზე. ბაჯალაძემ კარგად ითამაშა სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან, მოატყუა რამდენიმე მცველი და კარში დაარტყა. დუმბაძემ ნახტომი დააგვიანა —1:0. მე-14 წუთზე თოფურიამ თავური დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში. ფოთელთა შეტევებს სტუმრები კონტრიერიშებით პასუხობდნენ. მე-18 წუთზე ერთერთი კონტრშეტევისას კალატოზიშვილმა შეამცირა ანგარიში სხვაობა. 55-ე წუთზე თოფურია-თვარაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დამთავრდა. მატჩის 88-ე წუთზე კარგად ითამაშა ფოთელთა ლიდერმა მახარაძემ, რომელმაც ამ შეხვედრაში მეოთხე და ეროვნულ ჩემპიონატში მე-19 გოლი გაიტანა.

ტრისტან მანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„დილა“ (გორი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 3:2 (1:1).

გორი. ცენტრალური სტადიონი. 29 ოქტომბერი.

„დილა“: ჩოჩიევი (დოლაბერიძე), კონდრატიევი, გაგნიძე, ქობესოვი, ანიაშვილი, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი (ბალაბანოვი), მიხანაშვილი, მარლიშვილი (გაზაშვილი), ნეფარიძე, მელქაძე.

„ცხუმი“: ყორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფჭრულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა (ხიჭინავა), გოგრიჭიანი, გაბიხკირია, კურგენიანი.

მსაჯები: ვ. ეჯიბია, თ. კურტანიძე, ჯ. მელაძე (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ანიაშვილი.

თამაში მასპინძელთა გააზრებული კომბინაციებით დაიწყო .და მათ ტერიტორიულ უპირატესობასაც მალე მიაღწიეს. მე-9 წუთზე მარლიშვილმა, რომელმაც ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, მოატყუა რამდენიმე მეტოქე, შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ძლიერად, ზუსტად დაარტყა ჟორჟოლიანის კარში — 1:0. ორი წუთის შემდეგ შავდათუაშვილს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ იჩქარა და კარს ააცილა. ამას მოჰყვა სოხუმელთა კონტრიერიში და 24-ე წუთზე ჯიშკარიანმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

პირველ ტაიმში, როგორც „ცხუმის“, ისე „დილას“ კართან იქმნებოდა საგოლე მომენტები, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ისინი ვერ გამოიყენა.

სანახაობრივად უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა თამაშის მეორე ნახევარი. „დილა“ გამუდმებით უტევდა, 53-ე წუთზე კვლავ შავდათუაშვილს შეეძლო გაეზარდა ანგარიში, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ ძელს მოხვდა მელქაძის მიერ დარტყმული ბურთი. 67-ე წუთზე გაზაშვილმა მეორე გოლი გაიტანა „ცხუმის“ კარში, შავდათუაშვილმა კი რამდენიმე უნაყოფო დარტყმის შემდეგ მაინც შეძლო მესამე ბურთის გატანა — 3:1.

„დილა“ ამის შემდეგაც მეთოდურად ამწვავებდა თამაშს. ჩაისახა იმის იმედი, რომ გორელები უსათუოდ აიღებდნენ რევანშს პირველ წრეში დამარცხებისათვის — ზუსტად მოქმედებდა მათი ყოველი რგოლი, მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს ფეხბურთელები, სოხუმელებს სერიოზულად გაუჭირდათ კარის დაცვა. მიუხედავად ამისა, შესამჩნევად აქტიურობდნენ მათი ფორვარდები — ჯიშკარიანი და გოგრიჭიანი. თამაშის ბოლო წუთზე ამ უკანასკნელმა თავისუფალი ადგილი „აღმოაჩინა“ „დილის“ საჯარიმო მოედანზე და ბურთიანად შეიჭრა, მაგრამ უხეშად წააქციეს. 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა მალანიამ და სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა. 3:2. გაიმარჯვა „დილამ“.

ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ კორ.

* * *

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 32-ე ტურის მატჩები 3 და 4 ნოემბერს გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან: „სამგურალი“— „იბერია“, „ბათუმი“ — „მზიური“, „გურია“ — „ოვერია“, „შევარდენი-1906“ — „ოდიში“, „სანავარდო“— „ჯოლხეთი-1913“, „მერცხალი“— „გორდა“, „ქუთაისი“ — „დილა“, „კოლხეთი“ — „ამირანი“.

I ჯგუფი

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 34-ე ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ერმაზი“ (მცხეთა) 2:0, „სიონი“ (ბოლნისი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 4:5, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:2, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:2, „სქური“ (წალენჯიხა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:5, „სულორი“ (ვანი) — „იმერეთი“ (ხონი) 4:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) „კახეთი“ (თელავი) 1:1.

I ლიგა

28 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

სოხუმის დინამოელები სიმფეროპოლში შეხვდნენ „ტავრიას“, თამაში მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები ც. ჩიტიშვილი და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-29, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66429

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380000, თბილისი, ვ. კოტეტიშვილის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20